ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 3

ქ.ახალციხე

14 ივნისი 2013 წ
16:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ოლეგ სანდროშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბესიკ ბლიაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მალხაზი ასპანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე;

მალხაზ ჟუჟუნაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო გოგოლაური - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში;

ბესარიონ მიქელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში(იმყოფება მივლინებაში);

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: ახალციხის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის , კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 06 ივნისს 18:02 **საათზე** გამოცხადებულ № 817 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ოლეგ სანდროშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ბლიაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის ,, ახალციხის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის", კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 06 ივნისს 18:02 **საათზე** გამოცხადებულ № 817 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- ინდ. მეწარმემ გიორგი ბაგინაშვილმა შემდეგ თანხაზე: 6000 (ექვსი ათასი)ლარი.

განხილვა:

ინდ. მეწარმე გიორგი ბაგინაშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ინდ. მეწარმე გიორგი ბაგინაშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ,, ახალციხის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს ინდ. მეწარმე გიორგი ბაგინაშვილი.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მაკა სამსონიძეს, ინდ. მეწარმე გიორგი ბაგინაშვილის წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მაკა სამსონიძეს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება არაუგვიანეს 2013 წლის 14 ივნისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ო. სანდროშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ბ. ბლიაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	მ. ჟუჟუნაძე
	ნ. გოგოლაური
	მ. ასპანიძე
	თ. ზედგინიძე
	ე. მღებრიშვილი
	ბ.მიქელაძე